№ 171

ხუთშაბათი, 11 აგვისტო 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 0 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 171

ხუთშაბათი, 11 აგვისტო 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.


## საკომერციო კურსები

**ქალებისა და ვაჟებისათვის**

წელი მეცამეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1894—95 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო კონტორა, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით. 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყეს 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ათვთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ზ. მანუჩაროვს, ტფილისს.

(24—1297—11)


**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

ამ ნომერთან ტფილისს გარეშე მყოფთ მკითხველებს ურიგდებათ განცხადება: «სკოლა-პანსიონი და საყმაწვილო ბაღი კნიაჟნა სოფიო ვასილის ასულის არღუთაშვილის-დოლგორუკისა».

ტფილისი, 11 აგვისტო

—

ამ უკანასკნელ დროს რუსეთში განსხვავებული ყურადღება მიაქციეს სამეურნეო საქმეთა წარმოებას. ამ განზრახვით მთავრობამ დღეც დააარსა ახალი სამინისტრო მეურნეობისა, რომელიც გულმოდგინედ შეუდგა თავისის მოვალეობის აღსრულებას. მინისტრმა შემოიარა მრავალი ადგილი რუსეთისა, დაესწრო მეურნეთა საგანგებო კრებებს და განუმარტა მიწად-მომქმედთ და მიწად-მფლობელთ უმთავრესი მნიშვნელობა და საშუალება მეურნეობისა. ამავე დროს მთავრობამ დააარსა აქა-იქ საშუალო სამეურნეო სკოლები და ერთიც უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი, გაუქმებულის პეტრეს აკადემიის ნაცვლად.

ყოველი ესე ნათლად ამტკიცებს, რომ მთავრობამ მტკიცედ შეიგნო ის ჭეშმარიტება, რომ ახლანდელის რუსეთის უმთავრესი დანიშნულება არის მეურნეობა, რადგანაც ამ სახელმწიფოს დიდძალი სამუშაო მიწა აქვს და სიმდიდრის შესაძენად სხვაგან სიარული სრულიად არ ესაჭიროება.

როგორც ვიცით, რუსეთში დღეს 2,500 მილიონ ფუთამდე პური მოჰყავთ და ეს კიდევ იმის მეათედიც არ არის, რაც შესაძლებელია მოყვანილ იქნას მეცნიერებისაგან წამძღვარებულის მეურნეობის შემწეობით.

ამავე დროს არც თითონ მეურნენი არიან გულს ხელ-დაკრეფილნი. ისინიც სცდილობენ მოიფიქრონ და მოიმოქმედონ ისეთი რამ, რაც დააწინაურებს ქვეყნის მეურნეობას.

ამ განზრახვით დაუარსებით მეურნეთა შორის რამდენიმე ამხანაგობა, რომელთაც განუზრახავთ ხელი შეუწყონ და შემწეობა აღმოუჩინონ მიწად-მომქმედ და მიწად-მფლობელ ხალხს, წოდების განურჩევლად.

უმთავრესი დანიშნულება ამ ახალის ამხანაგობისა ის არის, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაიხსნას მეურნე მევახშის სიხარბისაგან და გაჭირვებაში ჩავარდნილი მეოჯახე აღარ იქნას იძულებული მაინცა და მაინც მამა-სისხლად ისესხოს დროზედ საჭირო გადასახდელი ფული.

ამ გვარს შემთხვევაში თითონ ამხანაგობა გაუმართავს ხელს მეურნეს მცირე სარგებლით და აღებულს სესხს მაშინ გადაახდევინებს, როდესაც მოსავალს მაზანდა დაუდგება. ამას გარდა, ეს ამხანაგობა თითონვე იკისრებს მსესხებლის მოსავლის გაყიდვას და იმ შუამავალ ვაჭრებისაგან, რომელთაც რჩებათ დღეს უმთავრესი მოგება მთელის წლის ოფლით დამუშავებულის მოსავლისა, ადგილის პატრონი სრულიად განთავისუფლებული იქნება. აგრეთვე ამხანაგობა შეიტანს ბანკებში და სხვაგან, სადაც საჭიროება მოითხოვს, თავის წევრთათვის სავალდებულო გადასახადს, გამოიწერს მსურველთათვის სამეურნეო მაშინებს პირდაპირ ქარხნიდგან და სხ. ყოველ ამისთვის ამხანაგობის წევრნი ვალდებულნი არიან თავისი მოსავალი ამხანაგობას ჩააბარონ, რომელიც იმეცადინებს ხეირიან ფასად გაასაღოს თითოეული ნაწარმოები მეურნეობისა რუსეთში, თუ საზღვარგარედ.

ამ ზემო მოყვანილის პროექტის განსახილველად დანიშნულია თავმჯდომარედ ამხანაგი ფინანსთა მინისტრისა, რომელსაც უნდა დაესწრნენ აგრეთვე საფინანსო, შინაგან და სამეურნეო სამინისტროების წარმომადგენელნი და თვით მეურნენი.

უეჭველია, ხსენებული კომისია ჯეროვანის ყურადღებით მოეკიდება ამ ფრიად დიდის მნიშვნელობის საქმეს და თავისის მხრითაც ეცდება, რომ რაც შესაძლებელია მალე განხორციელდეს ეს კეთილი განზრახვა.

ამ გვარის ამხანაგობის დაარსების საჭიროება დიდი ხანია ჰლაპარაკობს, არა თუ რუსეთში, არამედ ჩვენშიც, სადაც ხშირად სხვა-და-სხვა ვადაზედ გარდასახდელი ვალისა გამო ჩვენს სოფლის მეურნეს ნახევარ ფასად ეკარგება მოსავალი გაუმაძღარის მევახშეებისა და ათას გვარის კომისიონერების მეოხებით.

ამიტომ დაიბადა აზრი, რომ ამ გვარი ამხანაგობა საქართველოშიაც დაარსებულიყო და მიწად-მფლობელთა და მიწად-მომქმედთ თავისი მოსავალი კვლავ ჩალის ფასად აღარ გადაეყარათ წყალში. ეს პროექტი უკვე შედგენილიც არის და დაბეჭდილიც; საჭიროა მხოლოდ მთავრობისაგან დამტკიცება, რომ ძალაში შევიდეს.

ამ პროექტს, რომელსაც ეწოდება: „პროექტი წესდებისა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა, რომელსაც აზრად აქვს ხელი მოუმართოს სოფლის მკვიდრს საშინაო და სასოფლო სამეურნეო საჭიროებაში“—უფრო ვრცელი განზრახვა აქვს, ყოველ გვარი საჭიროება მეურნე ხალხისა უფრო გულის ყურით და საფუძვლიანად არის შიგ გამორკვეული და საშუალებაც თითოეულის ამ გაჭირვების დასაკმაყოფილებლად ნაჩვენებია.

მეველე

## დეპეშა

9 აგვისტო

**პეტერბურგი.** მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე გუშინ დაბრუნდნენ კრასნოე სელოდგან პეტერგოფს.

ნება დაერთოთ, რომ „იურიდიული გაზეთი“ უცენზუროდ ჰბეჭდონ.

**ვლადივოსტოკი.** კვირას მოვიდა აქ საფრანგეთის ადმირალი დიუპუი ჯავშნიანის ხომალდით „Bayard“-ით. ქალაქის დეპუტაციამ ადმირალს მიაგება პურ-მარილი; ზღვაოსანთა კრებაში სადღესასწაულო საღამო იყო გამართული; ვლადივოსტოკის მოქალაქეებმა მეჯლისი გაუმართეს საფრანგეთის ზღვაოსნებს რკინის გზის სადგურზედ.

**ლონდონი.** ინგლისის ელჩი, ჩინეთში დანიშნული, 18 აგვისტოს ტიან-ძინში მივიდა; ხანგრძლივი ბა-

## ფელეტონი

—

**ნაწყვეტი**

—

ნათლიმამობამ თითბერი
ოქრო ვერცხლს დაადარაო,
და მტრობამ ოქრო ბიტალო
ყვითელ თუჯს მიაგვარაო.
არ დაცხრა ქვეყნად გმელობა,
ღმერთი ვერ შეიყვარაო,
„ზოგისა ზამბაც ხხრიალებს,
ზოგის კაკალიც არაო“.

დ. მაჩხანელი

### მოკლე ცნობანი დრამატიულ ხელოვნების შესახებ.

(ვუძღვნი ყმაწვილ ქალთა და კაცთ, რომელთაც სურთ სცენას ემსახურონ).

I

სწავლა და განვითარება

ვისაც სურს სცენას ემსახუროს, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოირკვიოს და შეიგნოს, რას შეადგენს მსახიობის ხელოვნება.

მსახიობის ხელოვნება იმას შეადგენს, რომ თავისის გარეგნობით წარმოგვიდგინოს ის ადამიანი, რომელიც ავტორსა ჰყავს გამოყვანილი პიესაში. ამიტომ მსახიობმა თამაშობის დროს უნდა დაივიწყოს, რომ იგი მსახიობია და მხოლოდ გვიჩვენოს და დაგვიხატოს ავტორის მიერ შექმნილი ტიპი,

ამისათვის საჭიროა, ყველამ, ვისაც-კი სურს სცენას ემსახუროს და მსახიობად გახდეს, შეიმუშავოს;

1. მიხვრა-მოხვრა;

2. ხმა; 3. მიმიკა,

ე. ი. ის საშუალებანი, რომლითაც მსახიობი მაყურებლებზედ ჰმოქმედობს.

ყველას, ვისაც სურს დრამატიულ არტისტად გახდეს, თავ და პირველად ხალისი უნდა ჰქონდეს, უყვარდეს ის საქმე, რომელსაც ხელსა ჰკიდებს და ცოტაც არის განვითარებული იყოს, ე. ი. საშუალო სასწავლებელი მაინც უნდა ჰქონდეს გავლილი.

თუ კაცი განვითარებული არ არის, რასაკვირველია, ვერც ვერას შეიგნებს და თუ წაკითხული ვერ შეიგენი, ვერ გაიგე, უეჭველია, ვერც წარმოადგენ კარგად.

უსწავლელს და მოუმზადებელს კაცს რაც უნდა დიდის ნიჭის პატრონი იყოს, უქმად ჩაუვლის ნიჭი; იმისი ნიჭი წარმოადგენს მხოლოდ კარგს მასალას მშვენიერის სასახლის ასაგებად, მაგრამ მარტო მასალიდგან რა გამოვა, თუ-კი სახლის აშენებას ვერ მოახერხებ. რამდენჯერ გაგვიგონია და გვესმის: ბუნებით ნიჭიერი ყმაწვილია, მაგრამ განვითარება აკლიაო.

აუცილებელივ საჭიროა, რომ ყველამ, ვინც-კი სცენის სამსახურისთვის ემზადება, თუ ზედ მიწევნით არ შეისწავლა, რიგიანად მაინც არის გაიცნოს დრამატიული ლიტერატურა. მართალია ჩვენი სამშობლო ორიგინალური დრამატიული ლიტერატურა მეტად ღარიბია, მაგრამ სამაგიეროდ ნათარგმნი პიესები ჩვენ საკმაოდ გვაქვს. თითქმის მთელი მოლიერია გადმოთარგმნილი, შექსპირისა და შილერის დრამებიც საკმაოდ არის ნათარგმნი, აგრეთვე რუსთა მწერლები: ოსტროვსკი, გრიბოედოვი, გოგოლი და სხვ.

რამდენადაც განვითარებულია კაცი ჭკუა-გონებით, იმდენადვე განვითარებული უნდა იყოს მიხვრა-მოხვრით, ადგომ-დაჯდომით გავლა-გამოვლით და სხვა. ლაზათიანი და ხელოვნებით სავსე მიხვრა-მოხვრა ბუნებით მინიჭებული, ათას კაცში ერთს თუ დაჰყვება. ადამიანმა რომ შესაფერი მიხვრა-მოხვრა შეითვისოს, საჭიროა შეისწავლოს: 1. ცეკვა, 2. იარაღით ვარჯიშობა, 3. გიმნასტიკა. ამათი შესწავლა აუცილებლად საჭიროა იმათთვის, რომელთაც სურთ სცენას ემსახურონ.

მსახიობს არ უნდა ჰქონდეს თავისი საკუთარი ჩვეულებანი, არც მიხვრა-მოხვრაში, არც სახის გამომეტყველებაში; მისი გარეგნობა ისე უნდა იყოს განვითარებული, რომ ადვილად შეეძლოს შეითვისოს ყოველი თვისებანი ავტორის მიერ შექმნილის ტიპისა.

ახალგაზდა მსახიობმა არ უნდა დაივიწყოს, რომ რიგიანს მოძრაობას, მიხვრა-მოხვრას, სიტყვა-პასუხს დიდი მნიშვნელობა აქვს. საზოგადოება ყოველთვის თვალ-ყურს ადევნებს ამასა და ამიტომ იგი უნდა სცდილობდეს ყველგან და ყოველთვის, სახლში თუ საზოგადოებაში, ზრდილობიანად ეჭიროს თავი.

თქმა არ უნდა, რომ მსახიობის ხმას, სიტყვების მკაფიოდ გამოთქმას უმთავრესი ადგილი უჭირავს სასცენო ხელოვნებაში. ამის მისაღწევად აუცილებლად საჭიროა მსახიობმა თავისი როლი ყოველთვის ხმა მაღლა იკითხოს ხოლმე; ამით ის თავის ენას გასწრთვნის და დაიმორჩილებს; ხმის გასამაგრებლად საჭიროა ხოლმე სიმღერა, ამითი ხმას ძალა, სიფაფუკე ეძლევა და ეს-კი დიდად საჭიროა მკაფიო გამოთქმისათვის.

რომელი მსახიობიც აჩქარებითა და გაუგებრად წარმოსთქვამს სიტყვას, იგი ამითი დიდს შეურაცხყოფას მიაყენებს ავტორსაც, მსმენელ

ასი ჰქონდა ვიცე-მეფე ლი-ხუნგ-ჩანგომთან, იბაასა აგრეთვე რუსეთის ელჩთან, რომელთანაც ერთად 19 აგვისტოს უნდა წასულიყო ჩიფუში, სადაც ინგლისის ესკადრა იმყოფება.

**ჩიკაგო.** ადგილობრივმა პოლიციამ დაიჭირა რამდენიმე ჯოჯოხეთის მანქანა და დაპატიმრა ბევრი საეჭვო კაცი; სხვანი საეჭვონი თავისის ნებით აპირებენ ჩიკაგოდგან წასვლას,

# ახალი ამბავი

*** ტფილისის ფოსტის გამგეობას ნება-რთვა მოსვლია ტელეფონის გამართვისა ბათუმშიაც. აბონენტის ფასი იქ ნაკლები იქნება, ვიდრე ტფილისში, 100 მანეთის მაგიერად 75 მანეთს გადაახდევინებენ.

*** კავკასიის საოსტატო სემინარია (გორში) აცხადებს, რომ სემინარიაში შესასვლელი გამოცდა დაიწყება 26 აგვისტოსაო.

*** ს. ნიგოითი (ოზურგეთის მაზ.): 7 აგვისტოს აქ გვესტუმრა სცენის მოყვარულთა დასი. გამართულ იქმნა წარმოდგენა ნიგოითის ორ-კლასიან სასწავლებლის დარბაზში. წარმოადგინეს ხუთ მოქმედებიანი დრამა „და-ძმა“. ამ წარმოდგენას საკმაოდ დაესწრო ხალხი, ასე რომ მთელი სკოლის დარბაზი გამოტენილი იყო.

*** ლანჩხუთი. 7 აგვისტოს, საღამოს ხუთს საათზე აქ ერთი საყურადღებო ამბავი მოხდა. აქციზის ორი მოხელე და მამასახლისი ორ ნაცვლითურთ უეცრად შევიდნენ დ. ლანჩხუთში მოვაჭრის გიორგი წილოსანის დუქანში და ყველაფერს სინჯვა დაუწყეს. ხალხი ბლომად შეიკრიბა დუქნის წინ. წილოსანი გამოვიდა, ერთი ბოთლი წყალი ხელში ეჭირა და იქვე მდგომარე ხალხს უთხრა: გაიწით, თორემ წყალს გადაგასხამთო. ხალხმა მართლა დაიწია, წყლიანი ბოთლი ერთის ყმაწვილის წინ ქუჩაზედ დაეცა, გატყდა და ფეხები სულ ერთიანად დასწვა ბოთლის სითხემ. თურმე თეზაფი ყოფილიყო. ყმაწვილი ექიმთან წაიყვანეს და მორჩენის იმედიცა აქვთ. ამასობაში აქციზის მოხელემ იპოვნა ფარულად შენახული ერთი ყუთი წვრილად დაჭრილი თამბაქო; ის იყო ოქმი უნდა შეედგინათ და თამბაქოც წაეღოთ, რომ წილოსანის მოჯამაგირე ბიჭი მივარდა აქციზის მოხელეს, შემოჰკრა ფერდში ჩაქუჩი, თამბაქო წაართვა და წავიდა, ხუთი წუთი უსულოდ ეგდო იატაკზედ მოხელე და ძლივს მოაბრუნეს. ამის გამო მეორე მოხელემ ამოიღო რევოლვერი და გულში დაუმიზნა წილოსანს, მაგრამ მივარდა ერთი იქ მყოფთაგანი, ხელიდგან წაართვა და პოლიციას გადასცა. ეს საქმე გამოძიებაშია.

*** ქვემო-მაჩხაანი. აქ იყო კრება შემდგარი ქვემო-ქიზიყის მღვდლებისა, მასწავლებლებისა და ოჯახიშვილებისაგან სახალხო დეპო-ბანკის პროექტის განსახილველად. პროექტის განხილვის შემდეგ კრებამ ამოირჩია დეპო-ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ დ. ნადირაძე და წევრებად: მასწავლებელი დ. ჯავაშვილი, პროვიზორი ს. კურცხალია და ვაჭარი ი. მატიაშვილი; რევიზიის წევრებად: მღ. ი. ტუკუშაშვილი, მღ. ა. ბენაშვილი, მღ. კ. ღვთისავარიშვილი და ვაჭარი ა. ნადირაძე. გამგეობა უკვე შეუდგა სხვა-და-სხვა თადარიგს და იმედი აქვს მომავალ წელს დააწყებინოს დეპო-ბანკს მოქმედება ს. ქვემო-მაჩხაანში.

*** ქიზიყი: დაჟინებულმა გვალვამ ისე შეაწუხა ვენახები, რომ რის იმედიც გაზაფხულზედ გვქონდა მევენახეებს, იმის ნახევარი-ღა თუ მოგვივა. ასეთივე დღე დააყენა უწვიმობამ კახეთის ვენახებსაც. სულადი-კა საშუალოზედ მეტი მოვიდა ქიზიყში. ფუთი პური 65 კაპ. ფასობს და ქერი 40 კაპ. იმედია, როგორც ყოველს უმოსავლობაში, წელსაც ქიზიყი გამოჰკვებავს სარჩო-დაკლებულ კახეთს, რომელსაც აგერ რამდენიმე წელიწადია წლის სამყოფი სარჩო აღარ მოსდის სხვა-და-სხვა უყურადღებოდ დატოვებულ მიზეზისა გამო.

*** ს. კნოლევი. (ქართლი): ჩვენს სოფელს ეწვია იმისთანა სენი, რომ ავადმყოფი სამ დღეს ძლივს უძლებს: ეს ავადმყოფობა უმცა დიდებს არ აზარალებს, მაგრამ პატარეებს-კა ორ-ოლ დღის შემდეგ იმსხვერპლებს ხოლმე, ერთ გლეხის ოჯახში ხუთი გახდა ავად, რომელთა შორის ორი უკვე გარდაიცვალა და დანარჩენები ავად არიან. ჯერ გააცივებს ხოლმე, მერე აუვარდებათ მუცლის წვა, პირსაქმება და ყვანა. ასე უყურადღებოდ არიან და მალე ესალმებიან წუთისოფელს. კარგი იქნება ჩვენმა მაზრის ექიმებმა მოგვაქციონ ყურადღება, რომ ეს სენი არ გავრცელდეს და არ მოედოს მთელს სოფელს. ჩვენში მოსავალს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს. მხოლოდ უწვიმობამ-კი ძლიერ შეგვაწუხა.

*** ს. ალაიანი (ქართლი) ს. ალაიანი შესდგება ოთხმოცის კომლის მოსახლესაგან, ეს მცხოვრებნი მომეტებულ ნაწილად შეძლებულნი არიან. თითქმის არც ერთს ქართლის სოფელს არ უჭირავს ამოდენა მამული, როგორც ამ სოფელს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ყველა ამ მოწყობილებასთან სასწავლებელი აკლია. სასწავლებლის დაუარსებლობა იმისი ბრალია, რომ ხალხს არა ჰყავს ჩამგონებელი. აქაურნი იმ აზრისანი არიან, რომ მამა არა გვყოლია სასწავლებელში და პაპა, რად გვინდა სწავლაო, შვილი მალე მომესწროს გუთანზედ დაუსვა ერთის დღის ალო ავაღებინოო. აქამდის ალაიანი მიწერილი იყო ს. ლამისყანის საზოგადოებაზედ, ალაიანის ყმაწვილებს უნდა ევლოთ ლამისყანის სასწავლებელში და კომლზედ სამ-სამი მანეთი ეძლიათ წელიწადში. ალაიანელებმა უარი განუცხადეს მთავრობას და აღუთქვეს, რომ ჩვენ თითონ დავიარსებთ საკუთარს სასწავლებელსაო, მაგრამ აგერ რამდენიმე ხანი გადის და არც სასწავლებელს იარსებენ და არც ლამისყანის სასწავლებელში აბარებენ შვილებს.

*** ჩვენ მივიღეთ ცალკე წიგნაკად ვ. მასხულიას და ი. კილაძის მიერ გამოცემული მოთხრობა დუტუ მეგრელისა „**პირველი ტალღები**“ წიგნაკი შეიცავს 98 გვერდს და ღირს 20 კაპ. დაწვრილებით ამ წიგნაკის შესახებ შემდეგ მოველაპარაკებით მკითხველებს.

## დამაკვირდი

მეტის-მეტი, გადაჭარბებული არა კარგა რა!

ძველი წარწერა დელფის ტაძრისა

**

უბედურის იღბლისაა ადამიანი! დაიწყებს თუ არა გონება მისი აღყვავებას, სხეული უძლურდება და ეხრწნება.

მონტესკიე

## კორესპონდენცია

**ს. ზემო-მაჩხაანი.** საოცარი უწესრიგობა ჰხდება ჩვენს კუთხეულს სოფელში, მაგალითად, ამ დღეებში აქ გამოიარა სამოქალაქო სასწავლებლის ორმა მასწავლებელმა, რომელთა დანახვის უმალ გამოვარდა სამიკიტნოდგან არყით გაჟღენთილი მამასახლისი და მორთო უზრდელი ყვირილი: „თქვენ, ეი!.. უთხარით მ—ს, რომ ჩემზედ გაზეთში წერას თავი დაანებოს, თორემ!..“ იგინება უწმაწურად და ბობოქრობს ძალზედ. „რა გაყვირებთ, ბატონო, განა რა დაუწერია იმას თქვენზედ ისეთი?“ წყნარად ეკითხება დარბაისელი მასწავლებელი. „როგორ თუ რა დაუწერია! ზემო-მაჩხაანის მამასახლისს ნაჩალიკის ბძანება არად ჩაუგდია და მედუქნეები გაუპარებია კალოზეო. არა, იმას ვინ ეუბნებოდა გაზეთში გამამაჭენეო, ჰა?! დამაცადოს!..“ — „შე დალოცვილო, კანონი მასხარად შენ აგიგდია და შენვე იმუქრები, აბა ეგ რა საკადრისია,— უპასუხებს მასწავლებელი და მიდის თავისს გზაზედ. ჭაჭის არყით აპილპილებული მამასახლისი-კი ისევ ბობოქრობს და იგინება უშვერის სიტყვებით. დიალაც სამწუხაროა ეს ამბავი, რომ ამ სამწუხაროს სანუგეშო შედეგი არ მოსდევდეს: იქ სადაც ამ ოციოდე წლის წინად არც-კი იცოდნენ სიტყვა „გაზეთი“ სასმელი იყო თუ საჭმელი, დღეს გაზეთისა ეშინიანთ კიდეც ისე, როგორც მელას ხაფანგისა და გოგოლის ჩინოვნიკს რევიზორისა, და ეს, რაღა თქმა უნდა, უტყუარი ნიშანია სოფლად პროგრესის დაწყებისა... ამავე მამასახლისმა იმისათვის, რომ ნისიას რადა მთხოვო, ერთს მედუქნეს თავი გაუტეხა ჯოხით ამ დღეებში. დროა ვისიც ჯერ არს მიაქციოს ყურადღება ამ თავ-გასულ ვაჟბატონს, რომელიც სასტიკ ახალ კანონ-მდებლობასაც თავზედ გადაახტა და ბეჩავ ხალხს წურბელა მედუქნეები მიუსია კალოებზედ.

მთადიდელი

**ძეგვი.** (ქართლი). აგერ ერთი თვე მიდის, რაც ძეგვს ცის ნამი არ უნახავს... მეტის მეტმა სიცხემ ლამის არის სრულიად წაგვიხდინოს ვენახები. წრეულ შედარებით შარშანდელთან უკეთესს გამოსავალს მოველით ღვინისას, თუ სხვა რამ მოულოდნელმა მოვლენამ არ დაგვაბანინა ხელი ამ ჩვენს ნაწვავ-ნადაგზედ. რაც შეეხება მინდვრის მოსავალს: პურს, ქერს, — ძველს თესლს და სხ. არა დაეძრახება რა; პირ-იქით, ზოგიერთნი მოხუცებული გლეხები ამბობენ, რომ აგერ თხუთმეტი წელიწადი იქმნება, ასე კარგი გამოსავალი არ გვინახავსო. ესევე ითქმის სხვა მახლობელს სოფლების შესახებაც. მაშ იმედი უნდა გვქონდეს, რომ წრეულობით ისეთი ნაკლებულობა აღარ იქმნება ჩვენსკენ, როგორც წარსულს წლებში იყო, და მუდმივ მოწუწუნე, პირმომტირალი გლეხკაცობა ცოტა არ არის წელში გამაგრდება; მხოლოდ ჩვენის მხრივ უნდა ვისურვოთ, რომ გლეხკაცობასთან ახლო მდგომარე შეგნებულმა ხალხმა, როგორიცაა მღვდელი და აქ კიდევ რამდენიმე, ცოტათ თუ ბევრად შეგნებული ახალგაზრდა, იზრუნოს რამე სოფლისათვის. ყველამ კარგად ვიცით, როგორ დღე დღიურად მოდის ამბავი, ამა და ამ სოფელში სასწავლებელი დავაარსეთ, აქ სამკითხველო გავმართეთ და სხ. და თითეული ამ გვარი ცნობა რაღაც სიამოვნების ნიშანს სტოვებს ყოველის პატიოსანის ქართველის გულში. რასაკვირველია, იმისთვის, რომ ის ჰხედავს გლეხთა ცხოვრების გამოღვიძებას და იმედი ეძლევა, რომ ხალხის შეგნებულობა შედარებით წინ წაიწევსო. მაშასადამე გლეხობის შავ-ბნელით მოსილს მდორე ცხოვრებას დაეტყობა განათლებისა და საერთო წინმსვლელობის ნიშან-წყალი. გ.

---

საზოგადოებასაც და თვით თავისს თავსაც. ავტორის შეურაცხყოფა იმითი გამოიხატება, რომ ცუდად და გაუგებრად იქნება წარმოდგენილი მისი თხზულება, მსმენელი საზოგადოება ვერ შეიგნებს მსახიობისაგან წარმოთქმულს სიტყვებს და თვით მსახიობი კარგად ვერ იმოქმედებს მსმენელებზედ.

მსახიობს თუ ბუნებითვე მოძრავი არა აქვს პირი-სახე, სხვაფრივ ამის შეძენა თითქმის შეუძლებელია.

სულის მოძრაობის გამოხატვისათვის, როგორც მაგალითად, ღიმილისა, ირონიისა (დაცინვა), ცოტაოდენის სიხარულისა ანუ დარდისა, მსახიობს შეუძლიან სარკე მოიხმაროს, მაგრამ მაღალ გრძნობათა აღსანიშნავად-კი, როგორც დიდის მწუხარებისა, სასოწარკვეთილებისა, ელდისა აუცილებლად საჭიროა სახე ფრიად მოძრავი ჰქონდეს, ერთად შეერთებული შინაგან გრძნობასთან. ვიმეორებთ ამ გვარი სახის გამომეტყველება ბუნებითვე ეძლევა ადამიანს და ამის შესწავლა შეუძლებელია. თუ მსახიობმა ვერ შეითვისა ხასიათი და მდგომარეობა პიესის მომქმედისა, რაც უნდა ეცადოს, მისი პირისახე მაინც მანჭვა-გრეხვის მეტს ვერას წარმოგვიდგენს.

### II

### როლის მომზადება და ვარჯიშობა (რეპეტიცია)

თუ მსახიობს უყვარს თავისი ხელოვნება, სულითა და გულით ეძლევა მას და მთელს თავის ცხოვრებას და მომავალს იმას აბარებს, ვალდებულია ბეჯითად მოჰკიდოს ხელი თავისს ხელობას და როლის ზედ-მიწევნით დაზეპირება პირველ მცნებად გაიხადოს.

თავდა-პირველადვე უნდა შეეჩვიოს ამას მსახიობი.

ქართული ენა ისეთი კილოიანი და დასურათებული ენაა, განსაკუთრებით ზოგიერთ ნიჭიერთ მწერალთა თხზულებებში, რომ არა თუ როლის უცოდინრობა, არამედ გადასხვაფერებაც კი დიდს ცოდვად და უმეცრებად ჩაითვლება მსახიობის მხრივ.

ყველა ნიჭიერს მწერალს მოფიქრებული და აწონილი აქვს თითოეული სიტყვა და ფრაზა პიესის მომქმედისა; ყოველს სიტყვას, წინადადებას თავისს მნიშვნელობას აძლევს, რომელიც შეეფერება მომქმედის ხასიათსა და მდგომარეობას. წერის დროს ბევრი ფიქრი და ტანჯვა გამოუვლია და რა უფლება აქვს მსახიობს სხვისი ქმნილება დაამახინჯოს.

ყმაწვილებო! თუ გსურთ პატივისცემით მოეპყრან ხოლმე თქვენს ქმნილებას, მაშ ნურც თქვენ შეურაცხჰყოფთ სხვის ქმნილებას. ნუ დაივიწყებთ, რომ იგი დიდს ჯაფად და ტანჯვად უღირს შემქმნელს.

როლის კარგად აღსრულება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მსახიობი თავისუფლად ჰგრძნობს თავისს თავს სცენაზედ. ამის მისაღწევად საჭიროა როლის დაზეპირება და მომზადება.

ყოვლად შეუძლებელია კარგი თამაში, თუ როლი ზეპირად არ იცი. როგორ შეიგნებ, როგორ შეხვალ მომქმედის მდგომარეობაში, როცა არ იცი, რას ლაპარაკობ. ეს იმას ემსგავსება, თვალებ ახვეულმა დაბურულ ტყეში გაიარო,—უეჭველია, რომელსამე ხეს წააწყდები და შუბლს გაიტეხ.

უფრო მეტს ვიტყვით, როლის უცოდინარობა უსინიდისობაა, შეურაცხებაა ხელოვნებისა, ავტორისა, მსმენელის საზოგადოებისა და დამცირებაა თვით თავის თავისაც.

მსმენელი საზოგადოება ფულს იხდის, რომ მსახიობი ნახოს და მწერალის ქმნილებას ყური დაუგდოს, მწერალი თავის ქმნილებას მსახიობს ანდობს, მსახიობი თავის შრომისათვის ფულს იღებს, მაშასადამე დიდი თავხედი უნდა იყოს ამის ჩამდენი? აქ, ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა აღვიაროთ, რომ ხშირად ხდება ხოლმე ამ გვარი უწესოება ჩვენს სცენაზედ. საზღვარს გარეთ და რუსეთის სატახტო ქალაქებში მსახიობს ამ გვარის ქცევისათვის, ე. ი. თუ როლი ზეპირად არ იცის, სცენაზედ არ გამოუშვებენ და თუ ეს მოხდა ხოლმე, მაშინ თვით მსმენელი საზოგადოება აძევებს სცენიდგან მსახიობს სტვენითა და კიჟინით.

ნიჭი მომადლებულია ღვთის მიერ, ხოლო სინიდისიერად აღსრულება მონდობილის საქმისა ჩვენი ვალდებულებაა,

რაკი როლს შეისწავლი და კარგად დაიზეპირებ, უნდა მომზადო წარმოდგენისათვის. მომზადება მდგომარეობს ვარჯიშობაში ე. ი. რეპეტიციაში. რაც უფრო ხშირად გექნება რეპეტიცია, უკეთესია. რეპეტიცია სული და გულია ყველა საქმეში და განსაკუთრებით-კი დრამატიულს ხელოვნებაში.

მსახიობი ვალდებულია რეპეტიციაზედაც ისე ითამაშოს, როგორც თვით წარმოდგენის დღეს. უამისოდ ვერაფერს ვერ მიაღწევს. ხშირად გვესმის ზოგიერთის მსახიობისაგან და უფრო სცენის მოყვარეთაგან: „ამას წარმოდგენის დღეს ვიზამ, წარმოდგენის დღეს ვითამაშებ, რეპეტიციაზედ არ შემიძლიან“, და სხვა. თუ-კი წარმოდგენის დღეს ითამაშებ, რეპეტიციაზე რატომ აღარ შეგიძლიან? როგორ მოახერხებ თამაშობას, მოუმ-

დღეს რომ ყველა ერი, თვით ჩვენ ერზედაც-კი შედარებით პატარა ერი, იმასა სცდილობს, რომ ძალიან არ ჩამორჩეს სხვა მეზობელ ხალხს, გაუთანასწოროს ძალა და ღონე და ამით აიცილოს ძლიერის მეზობლის ჩაგვრა და უსამართლობა.

სოფელი ძეგვი კარგა მოზრდილია, ორას კომლამდის გლეხობაა აქ და ამათში ნახევარი სომხობა. აუცილებელს საჭიროებას წარმოადგენს სოფელ ძეგვის მცხოვრებელთა გონებრივად განვითარება. დღეს კი ამ მხრივ ცოტა არ იყოს ძალიან ძირსაა დაწეული. ძეგვში ყველას არა აქვს სახნავ-სათესი, თუნდა ვენახი. ამისთანა ოჯახობა სამოცამდის გამოირჩევა. ამ ოჯახობათა მამაკაცნი ხშირად უსაქმოდ რჩებიან და ამ დროს კი ანდომებენ დუქნების წინ ლაზღანდარობას, გამვლელ-გამომვლელის ხელ-პირში შეცქერას, ე. ი. საძრახისს უსაქმობას. ძეგვს, როგორც მოგეხსენებათ, არა აქვს სკოლა, ეს ერთად-ერთი საშუალება, რომელიც ცოტად თუ ბევრად ნათლად უხატავს გლეხობას იმისს უფერულს ცხოვრებას, აძლევს საშუალებას უფრო გონივრულად მოეკიდოს ცხოვრების სხვა-და-სხვა პირობას. აი, სწორედ ეს საშუალება არსად უჩანს დღეს ძეგვს და ამიტომ პირ-დახშული რჩება ამისთანა სამწუხარო სურათის მნახველი ადამიანი; არ იცის ვის უსაყვედუროს. ეჰვი არ არი, სოფლის ჰყოლია ჩამგონებელი, მაგრამ დღეს მაინც აღარ ითქმის იგივე ძეგვის შესახებ, რადგანაც ამისთანა კაცები მოეძებნება. დღეს ესენი უნდა სცდილობდნენ, რომ ხალხს აღუძრან სურვილი სწავლისა; ჩააგონონ მისი სარგებლობა, რაც ეჰვი არ არის უმისოდაც კარგად ესმით, და მისცენ ის, რის უფლებაც ყველასა აქვს. ეს კი რომ ჰქონდეს ძეგვს, მაშინ გლეხობა ასე უაზროდ არ გაატარებდა თავისუფალს დროს დუქნებს წინ. მაშინ სოფელს სამკითხველოც მალე ეღირსებოდა და გლეხები თავისუფალ დროს სახალხო და ადვილად გასაგებ წიგნების კითხვას მოანდომებდა. მაშ დროა, „არხარალო-თარხარალოს“ სიმღერის მაგიერად სასარგებლო საგნების შესახებ დაიწყოს დღეის იქით ფიქრი ძეგვის შეგნებულმა უმცირესობამ.

დროებით ძეგველი

# რუსეთი

მთავრობას განზრახვა აქვს რუსეთის რკინის გზის სადგურზედ ელევატორები გაჰმართოს, სადაც მეურნეთ შეეძლებათ თავის მოსავლის შენახვა იმ დრომდე, სანამდის კარგი მაზანდა დაუდგებოდეს ჰირნახულს. ხარჯი ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მოუნდება მთავრობას 420 მილიონ მანეთამდე. ხოლო სკოლების დასაარსებლად ყველგან რუსეთში, ისე რომ ნაკლებობა სკოლისა აღარსად არ იყოს, საჭიროა, 273 მილიონამდე. ამის შემდეგ კითხულობს გაზეთი „რუსკ. ჟიზნი“, რომელი ზემოაღნიშნულ საჭიროებისაგანი უფრო აუცილებელია ხალხის ბედნიერებისთვის, და რომელი უფრო შესაძლებელი ელევატორი, თუ სკოლაო?

—

სამინისტრომ განიზრახა სავალდებულო სწავლა შემოიღოს რუსეთში და მისთვის ამოარჩია ოთხი გუბერნია: ხარკოვისა, პოლტავისა, კურსკისა და ვორონეჟისა. ამ ჟამად პეტერბურგში დაბარებულნი არიან საერო სასწავლებლის დირექტორები ზემოხსენებულ გუბერნიების აღნიშნულ საქმეში მონაწილეობის მისაღებად, მომავალს გაზაფხულზედ-კი ამ პროექტის დასამთავრებლად პეტერბურგში მოვა კიევისი და ხარკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი. განზრახვა აქვთ ეს საქმე განახორციელონ 1895—96 სამოსწავლო წელს.

—

სახელმწიფოს ყველა სათავად-აზნაურო კრებები შეუდგნენ შემუშავებას იმის შესახებ, რომ შეადგინონ საერთო სათავად-აზნაურო თანხა იმათთვის პენსიის დასანიშნავად, რომელნიც სათავად-აზნაურო დაწესებულებებში ჰმსახურობენ. განზრახვა აქვთ სრულიად რუსეთის სათავად-აზნაურო თანხა მოსკოვში შეინახონ გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლთან. ამ ჟამად წესდების შემუშავებაში არიან და უნდათ აღნიშნონ, რა თანხა დასჭირდება ამ საქმეს.

—

„რუსკ. ჟიზნ“-ი სწერს, რომ გზათა მინისტრი, გოფმეისტერი კრივოშეინი მალე აპირობს კავკასიაში გამგზავრებასაო.

# უცხოეთი

**კორეს ომი.** კორეში ომი ჯერ არ შეწყვეტილა. ბრძოლის ასპარეზი ისევ ზღვაა. იაპონელები, როგორც ვატყობთ, დარწმუნდნენ, რომ უკანასკნელი შეტაკება უნდა მოხდეს კორეში-კი არა, ჩინეთის ძლიერების შუაგულ ალაგს—პეკინში. ამის გამო იაპონელები სცდილობენ ჩინელები დააუძლურონ ზღვაზედ და დაიჭირონ ზღვის პირის სიმაგრენი, რომლებიც გარს არტყია ჩინეთის სატახტო ქალაქს. რაკი ამ განზრახვას შეასრულებენ, იაპონელებს აღარ გაუჭირდებათ პეკინისაკენ წასვლა. აქამომდე იაპონელები იმ წესს იცავდნენ, რომ შეიძლონ პირველად თავს დასხმა ჩინელებზედ, ესე იგი უფრო სასარგებლო მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე ჩინელები არიან.

—

„Standard“-ის აზრით, ომი დიდხანს გასტანს. დიდად შესაძლებელიაო, ამბობს ლონდონის კონსერვატორთ გაზეთი, რომ დიდი ომები დაიწყება მერმისს გაზაფხულამდე. ჩინეთს უმთავრესად იაპონიისაგან დამარცხებისა-კი არ უნდა ეშინოდეს, არამედ იმისი, რომ რომელიმე დიდი სახელმწიფო არ წაეჩხუბოს, რომელსაც ხელშეკრულობაზედ ხელი უწერია, მაშინ აუცილებელი იქმნება საერთო ომი. რუსეთის პოლიტიკა კორეს გამო სრულიად ეთანხმება ინგლისის პოლიტიკას. ხოლო სასურველია, რომ ინგლისსა და რუსეთს თავიანთი ნოტა გაეგზავნათ მებრძოლთათვის და მოეთხოვნათ, რომ დაუყოვნებლივ შეეყენებინა ომი, თუ ამ გვარი საერთო ნაბიჯი მოუხერხებელია, მაშინ აუცილებლად საჭიროა ბრიტანიის ფლოტის გაძლიერება.

—

**ბულგარია.** არც ბულგარიის ოფიციოზურმა გაზეთმა „სვობოდნოე სლოვო“-მ გაუსწრო წინ თავისს პოლონელ მოძმეს. ამ გაზეთში, თუ დეპეშას დაეჯერება, 2 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილია ერთი წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „რუსეთის გაზეთების უკანასკნელ წერილებიდგან აშკარად სჩანს, რომ რუსეთი სცდილობს ხელში ჩაიგდოს ბულგარიის ჯარის მმართველობა და დაიპყრას ვარნა და ბურგასი. შემდეგ გაზეთი ეკითხება რუსეთთან შერიგების მომხრეთ:

„ბულგარელები აფრიკულები ხომ არ გგონიათ? რუსეთს სურს, რომ პირუტყვები ვიყვნეთ და ჩვენს ძვლებზედ გადიარონ და სტამბოლში შევიდნენ. რუსეთისთვის სრულიად საინტერესო არ არის ბულგარიასთან შერიგება, ბულგარიას კი სრულიად არ უჭირს რუსეთი. ბულგარელები სულთანის ქვეშევრდომნი არიან, ერთს ნაწილს შეადგენენ ოსმალეთის იმპერიისას და არავითარი უფლება არა აქვსთ ვისმე დაუთმონ თავიანთ სამფლობელოს ნაწილი.

## პასუხად ბ ნს აკაკის.

(დასასრული*)

ჩვენს აკაკის ჰგონია, რომ მეორე მისი ფრაზა: „ადამიანს უკეთესი ცხოველი, ვირი და ძაღლი, ორივე ამოუჩემებია“, ჩვენ დავიწუნეთ ვითომც იმის გამო, რომ «ამოუჩემებია» არ მოგვწონდეს და „ათვალწუნებას“ ვამჯობინებდეთ. არა, ბატონო, მიზეზი სრულიად სხვა გახლავთ. სიტყვები „უკეთესი ცხოველი“ რამდენს სულიერს არსებას ეკუთვნის? ორსა: ვირსა და ძაღლსა. მაშასადამე რომელი რიცხვის დაბოლოება უნდა ჰქონდეს? მრავლობითისა, ამას მოითხოვს ელემენტარული კანონი სიტყვების შეთანხმებისა. აკაკის ფრაზაში რა რიცხვით არიან ნახმარნი ეს სიტყვები? მხოლოობითის რიცხვით. მაშასადამე... ამას გარდა სიტყვების დალაგება არ ვარგა, მძიმეები შეუსაბამოდ არის ნახმარი, და გამოდის: ადამიანს უკეთესი ცხოველი ორივე ამოუჩემებია. უნდა ყოფილიყო: ადამიანს ამოუჩემებია ვირი და ძაღლი, ორივე უკეთესნი ცხოველნი.

*) იხ. „ივერია“, № 170.

თავისს სიტყვას „ჰკვიერი“ აკაკი შეცდომად არა სთვლის და ამართლებს ამ გვარის მაგალითებით: გონებიანი—გონიერი, ღონიანი—ღონიერი, გულისხმიანი—გულისხმერი. ეს გზა სწორედ ხრამზედ გადაგვჩეხავს. ჩვენ იძულებულნი შევიქმნებით კანონიერად ვაღიაროთ (უკაცრავად „აღვიაროსთან“). ორივე ფორმა შემდეგ მაგალითებში: ცხვირიანი—ცხვირიერი, თვალებიანი—თვალიერი, თმიანი—თმიერი, თავიანი—თავიერი, ტანიანი—ტანიერი, სვიანი—სვიერი, ქვიანი—ქვიერი და სხვანი და სხვანი. ამ გზით რომ იაროს ჩვენმა პოეტმა, ვის უცოდინარობას დაამტკიცებს? ნუ თუ ჩემსასა? არა მგონია.

გამოთქმას „თავისს დღეში“ იმიტომ ვაკლებო ერთს ს, ბრძანებს აკაკი, რომ ამას კეთილხმიანობა მოითხოვსო. ეს იმასა ჰგავს, რომ სასწორს ზედ შეახტე და საკუთარი სიმძიმით დააძლევინო იმ მხარეს, რომელზედაც უძევს ერთი გირვანქა წინააღმდეგ მეორე მხარისა, რომელიც დატვირთულია რამდენიმე ფუთით. თუ აზრი და მნიშვნელობა იცვლება რომელიმე ასოს გამოტოვებით, ეს ასო უთუოდ დაცული უნდა იქმნას. სრულიად სხვა-და-სხვა მნიშვნელობა აქვს გამოთქმასა: თავის (ზემო ნაწილი კაცის სხეულისა) დღეში და თავისს (საკუთარს) დღეში. კეთილხმიანობამ ამისთანა შემთხვევაში ქუდი უნდა მოიხადოს და პრეტენზიაზედ ხელი აიღოს. ვინც ამბობს: „თავის დღეში“, იგი სრულს საბუთს გვაძლევს ოხუნჯურად ვკითხოთ: ფეხების დღე რომელიღააო? ამ უსიამოვნო კითხვას მხოლოდ მაშინ აიცილებთ თავიდგან, როდესაც პირველს სიტყვას მიუმატებთ მიცემითს ბრუნვაში ასოს ს, რადგანაც პირველი ს სიტყვის ძირის ნაწილია: თავისს. მხოლოდ ამ შემთხვევაში აზრი აღარ შეიცვლება და უაზრობა მოისპობა.

შემდეგ აკაკი ბრძანებს: „ძაღლი პატრონის საფლავზედ დაკდომოდეს“. მე ეს ასე არ მიხმარია, აი ჩემი ფრაზაო: ძაღლი პატრონის საფლავს ზედ დაკდომოდეს. რა განსხვავებაა? განა ერთი და იგივე არ არის: შევედი სახლში, ან სახლსა შინა; ავდივარ ხეზედ, ან ხესა ზედა და სხვანი? პირველს შემთხვევაში თანდებული მიბმულია სიტყვაზედ, მეორეში გან-

---

ზადებლივ, ურეპეტიციოდ? ეს არ მოხერხდება.

თავდა პირველად შრომა და სწავლაა საჭირო კარგის თამაშობისათვის.

ყოველის საქმისათვის ხანგრძლივი დაკვირვება, პრაქტიკაა საჭირო. მაშ როგორღა შეიძლება კარგად თამაშობა სცენაზედ, თუ არ ივარჯიშე და რეპეტიციები არ გააკეთე?

რეპეტიციის დროს მსახიობმა ყველაფერი უნდა უკუაგდოს და დაივიწყოს, მთლად ყურადღებად გადაიქცეს და შეისისხლხორცოს ცხოვრება, ხასიათი და თვისებანი იმ კაცისა, რომელის წარმოდგენასაც აპირებს; ყური მიაპყროს როგორ ეკიდებიან სხვა მომქმედნი და ამის გვარად გამოხატოს თავისი გრძნობანი; ერთს წუთსაც ნუ დაივიწყებ, რომ იგი ესა და ეს მომქმედია და არ გადააჭარბოს, ერთის სიტყვით სცენაზედ სცხოვრობდეს.

მხოლოდ ამ პირობების აღსრულება მოუტანს მსახიობს სარგებლობას. ყოველს საქმეში დაწყებაა ძნელი და თუ ერთხელვე შეითვისე ზემოხსენებული წესი, ბოლოს გაგიადვილდება, სისხლსა და ხორცში გაგიჯდება.

პალტოთი ან ნაბად-წამოსხმული, პაპიროსით პირში, ხელში ჯოხით, ჯიბეში ხელებ-ჩაწყობილი და სხვა ამ გვარად ყოფნა შეუძლებელია რეპეტიციის დროს. ამ გვარი ქცევა, საქმის დროს, უწესობაა და გარდა ამისა თავისუფალს მიხვრა-მოხვრასაც უშლის.

როლის დასწავლის დროს აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ნამდვილი კილო, ამიტომ მსახიობმა გულდადებითა და დიდის ყურადღებით რამდენჯერმე უნდა წაიკითხოს მთელი პიესა, დაწვრილებით გაიგოს იმ მომქმედის მდგომარეობა, რომლის წარმოსადგენადაც იგი ემზადება, გამოიკვლიოს რა დამოკიდებულება აქვს მას იმ წრესთან, რომელშიაც იმყოფება. მაშინ მსახიობს მოფიქრებული, დალაგებული და ჭკუაში ჩამჯდარი ექნება სახე მომქმედისა. ვარჯიშობა და რეპეტიცია უფრო გამოარკვევს ამ სახეს და ამ გვარად, მუშაობისა და მოფიქრების შემდეგ, მსახიობს ყოველის მხრივ ექნება როლი მომზადებული.

III

დაკვირვება

მასწავლებელს შეუძლიან მხოლოდ მოამზადოს მსახიობი სცენისათვის, ე. ი. ასწავლოს კარგი კითხვა, გარკვევით ლაპარაკი, გააცნოს სცენა და სცენაზედ სიარული. მაგრამ ნამდვილი მასწავლებელნი დრამატიულის ხელოვნებისანი არიან: ცხოვრება, პრაქტიკა და დაკვირვება.

რაც უფრო მეტს დააკვირდება მსახიობი, მით უფრო მისი ნიჭი ძლიერდება, უფრო ღრმად ჩაუჯდება სულში ნახული და უფრო ცხადად გამოჰხატავს თავისს ქმნილებაში. დაკვირვებას ხელოვნებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. როდესაც ერთისათვის შეუმჩნეველად გაივლის ხოლმე ზოგიერთი მოვლენა ცხოვრებისა, მეორეში იგი ღრმა კვალსა სტოვებს. დაკვირვება, საფუძველი და დედაბოძია ყოველის დიდის ნიჭისა მეცნიერებაშიაც, ლიტერატურაშიაც და ხელოვნებაშიაც.

ამ გვარად ნიჭიერი მწერალი ერთბაშად ამჩნევს რომელსამე ზნეობრივს მოვლენას საზოგადოებაში, განსხვავებულს ხასიათს ხალხის ცხოვრებაში, მის ნაკლულევანებასა და ღირსებას, რომელიც, დღიურის ვარამით დაჩაგრულის ხალხის მეხსიერებაში შეუმჩნეველად დარჩენია.

ნიჭიერი მხატვარი (ხელოვანი) აკვირდება ბუნებას, შეისწავლის ხოლმე სხვა-და-სხვა მოვლენას ბუნებისას, შეუმჩნეველად არა სტოვებს არც ერთს სხივს მზისას, თუ ჩრდილს ხისას და ამ ნაირად უეცარის სისწრაფით ტილოზედ გადააქვს თვისი ქმნილება.

სწორედ ასევე დაწვრილებით უნდა შეისწავლოს დრამატიულმა მსახიობმაც ცხოვრება. ხანდახან თვით უმნიშვნელო წვრილმანიც-კი სიცოცხლესა სდებს რომელსამე ხასიათს.

თუ მსახიობს ბუნებითვე არა აქვს მინიჭებული დაკვირვება, უნდა ხანგრძლივის შრომით შეიძინოს იგი.

ცხოვრებას, დაკვირვებას შესწავლა უნდა, უამისოდ მსახიობად გახდომა არ შეიძლება.

დააკვირდით და თვალ-ყური ადევნეთ ყველას და ყველგან, ქუჩაში თუ საზოგადოებაში. დააკვირდით, უფროსი როგორ ელაპარაკება მოხელეს, მოხელე უფროსს; როგორ უჭირავს თავი წარჩინებულს, მდიდარს, ღარიბს და სხვები როგორ ეპყრობიან მათ. როგორ იტანჯება მშიერი და ვითარის კმაყოფილი მაძღარი. დააკვირდით სახის გამომეტყველებას, მიხვრა-მოხვრას, ლაპარაკის კილოს. დააკვირდით როგორ დაიარება გლეხი და მებატონე, ვაჭარი, ხელოსანი, მხედარი და ცხადად დაინახავთ, რომ ყოველს მათგანს თავ-თავისი ჩვეულება და ხასიათი ჰქონია. ნურაფერს დასტოვებთ შეუმჩნევლად, ნურც ერთს წვრილმანს, ეცადეთ შეითვისოთ ის, რაც უფრო თვალში განსხვავებულად გეჩვენათ, და თუ შემთხვევამ მოიტანა, სცენაზედ წარმოადგინეთ.

ვასო აბაშიძე

(დასასრული იქნება)

ცალკევებულია, მაგრამ აზრი-კი იოტის ოდენადაც არ იცვლება. ძაღლი ჯავრით დაჰკვდომია თავისს პატრონსა. ამითი მას გამოუჩენია სამაგალითო ერთგულება. საწყალს-კი აბრალებენ მტკნარს სისულელეს: საფლავს ზედ დააკვდაო. განა ეს უსამართლობა არ არის? მე მგონია დიდი. რათა სიყვარული სიტუტუცედ არ ვაქციოთ, მიუცილებლად ფრაზა უნდა ითქვას ასე: ძაღლი პატრონს დაჰკდომოდეს საფლავზედ.

ორიოდე შეცდომას, ჩვენგნივ დასახელებულს, აკაკი არ ესარჩლება, სჩანს მათი უკანონობა მისთვისაც ცხადი შეიქმნა. მადლობა ღმერთს, ამ შემთხვევაში მაინც ვალი გადახდილი სცნა.

ყველაზედ უფრო ცხარედ ესარჩლება ჩვენი სახელოვანი პოეტი თავის სიტყვას „სწორი, მართალი“. მაგრამ ეს სიცხარე იმის მოწამეა, რომ იუპიტერი ჰგრძნობს თავისს უსამართლობას. იუპიტერის, ე. ი. აკაკის აზრით სრული უკანონობა იქმნება, რომ ვიხმაროთ: სწორე მართალი, ბრუდე სიტყვა. უთუოდ ორივე სიტყვა ასოზედ ი უნდა დავაბოლავოთ. მთელს ქართლ-კახეთში ვერც ერთ ქართველს ვერ იპოვნით, განათლებულსა, თუ გაუნათლებელს, რომ სწორი სწორეს მაგივრად იხმაროს, ბრუნდი ბრუნდეს ნაცვლად. გამოვკითხე აგრეთვე გურულებს, რაჭველებს, იმერლებს და იმათაც ასეთი ხმარება უარ-ჰყვეს, ეჩოთირათ, ეუცხოვათ. მართლა, თუ დავაკვირდებით კარგად, აღმოჩნდება, რომ სიტყვას „სწორი“ სრულიად სხვა მნიშვნელობა აქვს, ბევრად განსხვავებული იმ აზრისაგან, რომელიც გამოითქმის სიტყვით სწორე, ავიღოთ ფრაზა: სწორიდგან სწორამდის. რას ნიშნავს იგი? დროსა ორშაბათიდგან მეორე ორშაბათამდის, კვირიდგან მეორე კვირამდის. ამის გამო ხშირად სიტყვა სწორი იხმარება ნაცვლად ერთის კვირისა. ერთი სწორი დამიგვიანდა ქალაქში, ერთი სწორი დავრჩი სოფელში. მაშასადამე: სწორი გითხრა მე მართალი, გამოდის: ერთი კვირა მართალი გითხრაო. ერთი გირვანქა მართალი და ერთი ფუთი მართალი რომ გამოდიოდეს, კიდევ ჯანი გავარდეს აკაკის მტერსა; მაგრამ ერთი კვირა მართალი! შეგვიბრალეთ.

ცხადია, რომ ადგილობრივი, სრულიად უკანონო, გამოთქმა სიტყვისა აკაკიმ ჩასთვალა საყოველთაო ტერმინად, ჩიქორთული ქართულად მიიღო, და ჩვენ-კი გვიკიჟინებს ჩიქორთულსა. კარგია, შენმა მზემ!

ბოლოს აკაკი ბრძანებს: ჩვენ მეტსაც ვაპირებდით: «ბუნების კარისა» და «დედა-ენის» გარჩევას და მაშინ ხომ სულ დავიღუპებოდით: ვინ იცის რას არ დაგვწამებდა. ახლა-კი ღმერთმა მშვიდობა მისცეს იმასაც და იმის ენასაცა“.

თუ მართლა ამ განზრახვაზედ ხელი აიღო აკაკიმ, დიდად გვაწყენინებს. ჩვენი გულითადი ნატვრა იყო და არის მოვესწროთ როდისმე ჩვენის წიგნების გარჩევას შეგნებულისა და განვითარებულის პირის მიერ. რადგანაც ამისთანა პირთა შორის აკაკის ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს, ამიტომ უკეთესს კრიტიკოსს ველარცკი ვინატრებთ. სამაგიეროდ სიკეთეს ველდებით გადავუხადოთ დაუყოვნებლივ. ჩვენ ჯერ პასუხს ვ გებთ, შემდეგ გავარჩევთ მისს თხზულებებსა და დავაფასებთ შეძლებისა-და გვარად მისს ენას. სიკეთის მეტს ეს ერთმანეთის ნაწერის დაფასება არასფერს არ მოიტანს. კრიტიკა უკადრის პოლემიკად არ გარდაიქცევა ამ შემთხვევაში, რადგანაც აკაკი ამბობს: „ჩვენ დიდი პატივისმცემელი ვართ იაკობ სიმონიძისა და მისი წყენა სრულიად არ გვესიამოვნებაო“. მართალია, შხამიანი ისარი ვესროლეთ, მაგრამ ეს ისე მოგვივიდა, უცაბედად, ლამაზის, მახვილის სიტყვის სიყვარულითაო . გვჯერა.

ჩვენ კიდევ უფრო დიდი პატივისმცემელნი ვართ აკაკისა, და შეუსაბამო სიტყვას არ ვაკადრებთ არას გზით და არც ჩვენ ვიკადრებთ. მაშასადამე, მთავარნი პირობანი რიგიანისა და ნაყოფიერის კრიტიკისა და ანტიკრიტიკისა არსებობენ სავსებით, სისრულით და რაღად უნდა ვსთქვათ უარი.

შეიძლება აკაკი სხვა ნაირად მოიქცეს: სხვანი მომისიოს და თვითონ სეირი გვიცქიროს. ამასაც ყაბულ. მაგრამ ეს ხერხი სიკეთეს არ დააყრის არც მის ღირსებას და არც საზოგადო ინტერესს.

ჰო, დიაღ, ენაში ხომ ვკოჭლობთ და ვკოჭლობთ ყველანი, მაგრამ ეს არ შეადგენს ჩვენს მთავარს ნაკლს. მომაკვდინებელი ჩვენი სენი უფრო სხვაა. ჩვენ ძლიერ ღატაკნი ვართ ნათელის აზრითა, მიმართულებითა, გარკვეულის მიზნით. ჩვენი ენა კიდევ ჰარტალობს, ხოლო თავი-კი ცალიერობს. ამის გამო ჩვენი ლიტერატურა წყალ-წყალა ლობიო შეჭამანდს მოგაგონებთ, რომელშიაც ლობიოს მარცვალი თითო საათობით უნდა ეძებოთ. კალმის ასს ნაწარმოებში ოთხმოც-და-ცხრამეტი უთავბოლო ყბედობაა და სხვა არაფერი. ეს სენი დაჰყვა სამწუხაროდ ჩვენს საბავშო ლიტერატურასაც და ცუდს შედეგს უქადის ჩვენს ნორჩს თაობას.

ამის გამო საჭიროა ენის გარდა შინაარსიც გავხადოთ საგნად ერთმანეთის ნაწერების კრიტიკისა, თუ აკაკიც ინებებს.

ი. სიმონიძე

სურამი.

## წერილი რედაქციის მიმართ

გაზ. „ივერიის“ ამა წლის მე-162 №-ში დაბეჭდილი იყო წერილი ჯავახეთიდგან (სოფელ გოგაშნიდგან), რომლის დასასრული ჩემს სამსახურს შეეხება. კორესპონდენტი სწერს: „თუმცა დასაჯერებელი არ არის, მაგრამ რამდენიმე კაცი მარწმუნებდა, რომ ზამთრობით, როცა თოვლი და ნამქერია, მღვდელს უჭირდება სოფელში წასვლაო. თურმე ზიარებას, სიკვდილის წინა დღეს, ეს ხალხი ჩვეული არც-კი ყოფილა და როცა მოუკვდებათ ვინმე, მღვდელი თოვლისა და ნამქერის გამო ვერ მიდისო, მიწას უკურთხებს—გულზედ დააყარეთ და პანაშვიდს მე გადავიხდიო. მერე განა ეს დასაჯერებელი არის, როცა ეს ხალხი ქრისტიანობაში სცხოვრობს? მღვდელსაც შევეკითხე და მითხრა, ზოგჯერ შეიძლება მოხდესო“.

მრიელ მიკვირს, რაგი თითონ კორესპონდენტიც ეჭვის თვალით უყურებს ჩემს სიქციელს, რატომ აღარ ინება დასახელება იმ რამდენისამე კაცისა, რომელთაც უამბნეს,ვითომ ზამთარში თოვლისა და ნამქერის გამო დამზარებოდეს სოფელში წასვლა ავადმყოფის საზიარებლად. ვინც-კი ჯავახის ზნე და ჩვეულება კარგად იცის, ყველა იტყვის, რომ ქქიმის წამალი იმდენად არ სწამთ, რამდენადაც სულისა და ხორცის მკურნალი წმინდა საიდუმლო ზიარება. არ მომხდარა, რომ გლეხს, თუ მღვდელი ეგულება სოფელში, უზიარებლად მოეკლას ავადმყოფი.

მაკვირვებს ის სიტყვებიც, ვითომ მიწას ვუკურთხებდე ხოლმე და ვაბარებდე, მკვდარს დააყარეთ და პანაშვიდს მერე გადავიხდიო. თუ ეს ამბავიც იმ „რამდენსამე კაცმა“ უამბო კორესპონდენტს, სჩანს ძალიან მოტყუებულა და უთუოდ ტატოსა და გიოსთან ჰქონია ლაპარაკი, თორემ გონიერები ამას ვერ ეტყოდნენ

ქილდის მღ. ფ. მეტრეველი

პეტერბურგის ბირჟა, 9 აგვისტო

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდ-ულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,45 | 7,47 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 148 1/2 | 149 1/2 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 239 1/2 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 228 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 191 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |


## განცხადებანი

ვისაც ჰსურს ბინა აღუჩინოს მოსწავლეს სახლობაში, სადაც რომ სადილი, ვახშამი და ჩაი ჰქონდეს, შეუძლიან პირობის შესატყობად მიჰმართონ სოლოლაკში, ამაღლების ქუჩაზედ, ავეტისოვის სახლებში, № 16, ალექსანდრე არუთინოვს.

(2—1630—1)

ტფილისის საქალაქო მიხეილის სახელოსნო სასწავლებელში შესასვლელად ყმაწვილი უნდა იყოს ხნით 13 1/2—18 წლისა, მაგარი აგებულებისა და უნდა იცოდეს პირველ-დაწყებითი სასწავლებლის კურსი.

სასწავლებელში ასწავლიან: ზეინკლისა, დურგლისა, თუჯ-რკინა-თითბრის ჩამოსხმულ ნივთების კეთებასა და მჭედლის ხელობას.

თხოვნასთან დირექტორის სახელზედ წარმოდგენილი უნდა იყოს დაბადებისა და ყვავილის აცრის მოწმობანი.

ბავშვების მიღების შესახებ თხოვნის შემოტანა შეიძლება ყოველ დღე, 8 საათიდგან 4 საათამდე.

მისაღები ეგზამენები დაიწყება 25 აგვისტოს.

(3—1613—3)



დამზღვევი საზოგადოება

„იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

### დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

### დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2.

(50—1234—38)



საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

„ურბენი“ (L'URBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხად 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“-მა 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებსკადიან გარდასახადისაგან და პოლის ს-გი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი აზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ,

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასო გაეგზანებათ.

(40—1061—14)



ლექსები

თავ. ვახტანგ ორბელიანისა

სრული გამოცემა მის ასულის მარიამ ორბელიანისა, ავტორის პორტრეტით, სასარგებლოდ ქართველი ქალების მომავალის სკოლისა და წერა-კითხვის საზოგადოებისა. ფასი სქელ ქაღალდზედ მანეთი, ვინც ათობით იყიდის—ოთხი აბაზი, მოთხელო ქაღალდზედ ფასი სამი აბაზი, ათობით მყიდველი მიიღებს ათ შაურად წიგნსა. ისყიდება თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

(10—1420—10)


Дозволено цензурою Тифлисъ, 10-го Августа 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.